ს ს ი პ ბ ა თ უ მ ი ს შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

09 ნოემბერი, 2026 წ.

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/207

2025-2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ელექტროლიზური ტექნოლოგიების გამოყენებით მცენარეული სამრეწველო ნარჩენებიდან პექტინების ექსტრაქციისა და გამოლექვის პროცესების კვლევა/ოპტიმიზაცია“ საბოლოო პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების“ მე-5 და მე-6 მუხლების, „ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 იანვრის №01-02/01 ბრძანების, „ბსუ-ში 2025-2026 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების, პროექტის ხელმძღვანელის/მენეჯერის ავთანდილ ცინცქილაძის სამსახურებრივი ბარათისა (MES 9 26 0001295748, 23.09.2026) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 09 ნოემბრის სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული 2025-2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის **„ელექტროლიზური ტექნოლოგიების გამოყენებით მცენარეული სამრეწველო ნარჩენებიდან პექტინების ექსტრაქციისა და გამოლექვის პროცესების კვლევა/ოპტიმიზაცია“** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/33 დადგენილების **დანართი №4**), ხელმძღვანელის/მენეჯერის, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელ **ავთანდილ ცინცქილაძის** მიერ წარმოდგენილი **საბოლოო პროგრამული ანგარიში** შესრულებული პროექტის თაობაზე (წინამდებარე დადგენილების **№1 დანართი** - გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტის ბიუჯეტის (სულ 19 890 ლარი) შესაბამისად გაწეული ხარჯების (ჯამში 18 837 ლარი) შესახებ.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს (ა. ცინცქილაძე), ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სამეცნიერო

კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე წუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი ტიტე აროშიძე